ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 104/6

თბილისი „30" "აპრილი" 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი" (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით და მეორეს მხრივ ი/მ „ნანული ნინუა" (შემდგომში - „მიმწოდებელი")

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 მარტის N483 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, შემსყიდველისათვის საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში შემსყიდველის ტერიტორიულ ერთეულის (ფილიალი) სენაკის შშმ ბავშვთა სახლის, ბენეფიციარების საჭიროებისათვის სამედიცინო მომსახურების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებები - 85100000; დეტალური CPV-85131000 - სტომატოლოგიური მომსახურებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება არაუმეტეს 1500,00 (ათას ხუთას) ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. სენაკის შშმ ბავშვთა სახლში განთავსებული ბენეფიციარების საჭიროებისათვის წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1_ით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების შესყიდვა.

3.2 მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართში #1 მოცემული ფასების შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის პირობები

გასაწევი მომსახურებები, ტექნიკური დავალება, მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები მოცემულია ხელშეკრულების დანართ №1 - ში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტით, მომსახურების გაწევის შემდეგ, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

5.2 მომსახურების გაწევის შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დ.ღ.გ-ს გადამხდელია).

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ხელშეკრულების 5.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაზღვრული პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.
6.3 შემსყიდველი უზრუნველყოფს „მიმწოდებლის" დაფინანსებას 6.2 პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1 შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მოთხოვნის შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.2 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.3 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში, უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.
7.2.2 დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში ერთი მხარე უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ამ შემთხვევაში მეორე მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, შემსყიდველის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 გაწეული მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 01 თებერვლის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან სამი – შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“	**ი/მ „ნანული ნინუა“**
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა	მის: სენაკის რაიონი რუსთაველის #231
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „ლიბერთი ბანკი“
კოდი № TRESGE22	კოდი №LBRTGE22
ა/ა № GE24NB0330100200165022	ა/ა №GE56LB0112186376538000
ს/კ № 205169592	ს/კ 39001022796
_____	----------
მარინა მესხი	**ნანული ნინუა**
დირექტორი	ი/მ

დანართი #1

#	გასაწევი მომსახურებები თერაპიულ, ქირურგიული და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში	ერთეულის ფასი	ტექნიკური დავალება	მიწოდების ადგილი და ვადები
1	კონსულტაცია	უფასო	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმ-სტომატოლოგის მიერ, მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმნოდებლის სტომატოლოგიურ კაბინეტში. მომსახურების განევისას უნდა იყოს დაცული ჰიგიენური ზომები, მომსახურების გაწევის დროს ყველა ინსტრუმენტი უნდა იყოს სათანადო დონეზე დეზინფექცირებული. მომსახურების განევისას ყველა საჭირო მედიკამენტი და სახარჯი მასალა უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს. ექიმ–სტომატოლოგი ვალდებულია მომსახურების გაწევამდე დეტალურად შეისწავლოს პაციენტის მდგომარეობა, დასვას ზუსტი დიაგნოზი, გამოიკვლიოს არის თუ არა პაციენტი რომელიმე პრეპარატის მიმართ ალერგიული. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სტანდარტებს.	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სენაკის რაიონი რუსთაველის #231 – ში მდებარე სტომატოლოგიურ კლინიკაში. მომსახურების გაწევა უნდა დაიწყოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
2	ანესთეზია	5 ლ		
3	პირველადი დახმარება	5 ლ		
4	გერმანული „ქარიზმა“	20 ლ		
5	ამერიკული „ტეროფილი“	20 ლ		
6	„ქარიზმა“	40 ლ		
7	„სპექტრუმი“	40 ლ		
8	„პოინტ 4“	50 ლ		
9	„ამელოჯინი“	50 ლ		
10	„ფილტეკი“	50 ლ		
11	„ქარიზმა“, „სპექტრუმი“, „სვისტეკი“	60 ლ		
12	„ამელოჯენი“, „ფილტეკი“	70 ლ		
13	ერთი არხის მკურნალობა და დაბჟენა	15 ლ		
14	ორი და მეტი არხის მკურნალობა და დაბჟენა	25 ლ		
15	ანკერული წკირი	5 ლ		
16	ღრძილების მკურნალობა (10 სეანსი)	70 ლ		
17	კბილების განმენდა გაპრიალება	30 ლ		
18	ადგილობრივი ანესთეზია	5 ლ		
19	პაროდონტოზული (მორყეული)	10 ლ		
20	ჩვეულებრივი ექსტრაქცია	20 ლ		
21	რთული ამოღება ელევატორის დახმარებით	30 ლ		
22	მეტალოპლასტმასის გვირგვინი	50 ლ		
23	მეტალოკერამიკის გვირგვინი	100 ლ		
24	ფოლადის გვირგვინი	20 ლ		
25	ფოლადის მოყვითლული გვირგვინი	25 ლ		
26	ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზი ერთ ყბაზე რუსული მასალით	80 ლ		

27	ფირფიტოვანი მოსახსნელი პროთეზი ერთ ყბაზე გერმანული მასალით	125 ლ	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ექიმ-სტომატოლოგის მიერ, მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის სტომატოლოგიურ კაბინეტში. მომსახურების გაწევისას უნდა იყოს დაცული ჰიგიენური ზომები, მომსახურების გაწევის დროს ყველა ინსტრუმენტი უნდა იყოს სათანადო დონეზე დეზინფექცირებული. მომსახურების გაწევისას ყველა საჭირო მედიკამენტი და სახარჯი მასალა უნდა იყოს ნაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს. ექიმ–სტომატოლოგი ვალდებულია მომსახურების გაწევამდე დეტალურად შეისწავლოს პაციენტის მდგომარეობა, დასვას ზუსტი დიაგნოზი, გამოიკვლიოს არის თუ არა პაციენტი რომელიმე პრეპარატის მიმართ ალერგიული. გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნული მომსახურებისათვის გათვალისწინებულ სტანდარტებს.	მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სენაკის რაიონი რუსთაველის #231 – ში მდებარე სტომატოლოგიურ კლინიკაში. მომსახურების გაწევა უნდა დაინყოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის წაყენებიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
28	გვირგვინის მოხსნა	10 ლ		
29	პროთეზის შეწებება	10 ლ		
30	მიკროპროთეზსი ერთი კბილი	15 ლ		
31	გვირგვინის დაცემენტება (1 ერთეული)	5 ლ		
32	პლასტმასის გვირგვინი (1 ერთეული)	20 ლ		
33	ფოლადის ფასეტა (1 ერთეული)	25 ლ		
34	პროთეზში კბილის ჩამატება (1 ერთეული)	10 ლ		

„შემსყიდველი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი # TRESGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022
ს/კ # 205169592

მარინა მესხი
დირექტორი

"მიმწოდებელი"
ი/მ „ნანული ნინუა"
სენაკის რაიონი რუსთაველის #231
ს/ს „ლიბერთი ბანკი"
კოდი №LBRTGE22
ა/ა # GE56LB0112186376538000
ს/კ # 39001022796

ნანული ნინუა
ი/მ